

- მთავარი
- აშშ
- საქართველო
- მსოფლიო
- საზოგადოება
- ტელევიზია
- რადიო
- ინტერვიუ
- ვიდეო რეპორტაჟი

სამშაბათი, 21 მაისი, 2013

მულტიმედია

### საქართველო

# საქართველოს მთავრობის გიგანტური გეგმები

ბეჭდვა კომენტარი გაზიარება

საქართველოს მთავრობის გიგანტური გეგმები



ქართული კულტურის ფესტივალი

1/10

ტიტრების წაშლა

ყველაზე ხშირად წაკითხული

1. ქართველოფობია და აფხაზური ნაციზმი
2. ქართველი ქალების პირველი ღვინო
3. მწვანე ბარათის ლატარეა შესაძლოა გაუქმდეს
4. „პანდორას ყუთი“ გელა ხვედელიძემ გახსნა
5. ქართული კულტურის ფესტივალი ატლანტაში

მიადწევს თუ არა საქართველოს ახალი ხელისუფლება რეალურ პროგრესს რუსეთთან ურთიერთობებში?

დიახ	41,3%
არა	46,4%
მიჭირს პასუხის გაცემა	12,3%
სრული ხმები	138

ეს გამოკითხვა დახურულია

ეს არ არის მენიერული გამოკითხვა გამოკითხვის არქივი

### ინტერაქტივი

ზაზა წულაძე ბოლოს განახლდა:

ტიქსტის ზომა

Tweet 0

Recommend 1 გაგზავნა

0

Pin it

საქართველოს მთავრობა ფანტასტიკურ გეგმებს ამჟღავნებს. უკვე მომავალ წელს, დასავლეთ საქართველოში, საინჟინრო თვალსაზრისით ორი ურთულესი, ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა უნდა დაიწყოს. ამ გრანდიოზული

პროექტების საერთო ღირებულებამ, შეიძლება ორ მილიარდ ამერიკულ დოლარს გადააჭარბოს. საუბარია სვანეთში, მდინარე ენგურზე ხუდონჰესის მშენებლობის განახლებაზე და მდინარე ნენსკრაზე, ჰესების კასკადის აგებაზე. მთავრობა ასევე ვერ ელევა მდინარე რიონზე, ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის იდეას, რომელმაც, შარშამ რაჭაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის გამო უკანა პლანზე გადაიწია. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მთავრობას ჰიდროენერგეტიკაში ხუთი მილიარდი დოლარის ინვესტიციების მოზიდვა შეუძლია.

„ნენსკრა არის ადგილი სვანეთში, სადაც მომავალ წელს, ჩვენ ვგეგმავთ დავიწყოთ, 600 მეგავატიანი, დიდი ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა. ნახევარი „ენგურჰესის“ ხელა. ამ ბოლო თვეების განმავლობაში დათვლილი გვაქვს, რომ ყოველგვარი, ზედმეტი რთული კონსტრუქციების გარეშე, უახლოეს 7-8 წელიწადში, შეგვიძლია, რეალისტურად ხუთი მილიარდი დოლარი მოვიზიდოთ ჰიდროენერგეტიკის განვითარებაში. ხუთი მილიარდი დოლარი ჩაიდოს საქართველოში ახალი კაშხლების, ტურბინების და საწარმოო სიმძლავრეების შექმნაში.“

ცნობილია, რომ ნამახვანის პროექტში საქართველოს მთავრობის პარტნიორი თურქული კომპანია „ნურულოს“ და კორეული „კეპკოს“ კონსორციუმი. „ხუდონჰესის“ მშენებლობის განახლებას კი თავის თავზე, ინდური კომპანიის „კონტინენტალ კონსტრაქშენის“ შვილობილი, ოფშორში დარეგისტრირებული „ტრანს ელექტრიკა“ აპირებს. ჯერჯერობით უცნობია, ვის ჩააბარებენ ნენსკრას ჰესების აშენებას, თუმცა ცნობილია, რომ მთავრობა ამ პროექტებით, დამატებით 2000-მდე მეგავატი ელექტროენერჯის მიღებას ელის. ენერგეტიკოსთა აზრით, ეს არათუ უზრუნველყოფს ქვეყნის ენერგო უსაფრთხოებას, არამედ ექსპორტის შესაძლებლობას განუზომლად გაზრდის. ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი რევაზ არველაძე ამბობს

„ხუდონჰესზე გამოიშვებულ ელექტრო ენერჯია, თუ ჰესი, 700 მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდა, არ გადააჭარბებს 7-8 ცენტს კილოვატ საათზე. იმის გათვალისწინებით, რომ პიკური ელექტროენერჯია ბევრად უფრო ძვირია, ვიდრე ბაზისური ელექტროენერჯია, ეს მაღალი ფასი არ არის. ამდენად, პიკური

ელექტროენერჯის მყიდველი იქნება და შესაძლებელია პირდაპირ ექსპორტზე იქნას გაშვებული. მეორე მხრივ, შესაძლებელია, პიკური ელექტროენერჯია ბაზისურ ელექტროენერჯიაში გაიცვალოს, ერთი სამთა მიმართებაში მაინც. ბაზისური ელექტროენერჯის დეფიციტი საქართველოში ყოველთვის იყო და ეკონომიკის სწრაფი ტემპით განვითარების პირობებში, რა თქმა უნდა ეს დეფიციტი კიდევ უფრო გაიზრდება.“



**ვამინგტონი დღეს, 17 მაისი, 2013**

მსოფლიო ბანკმა საქართველოს \$75 მილიონიანი კრედიტი გამოუყო. სესხის დეტალებსა და მიზნებზე სასაუბროდ სტუდიაში ბანკის ტრანსპორტის უფროსი სპეციალისტი ჯორჯ ბანჯო მოვიწვიეთ. ასევე ნახავთ: უპრეცედენტო დანაშაული და თავისუფლება ათ წლიანი მონობის შემდეგ - ოპაიოს შტატში წლების წინ გატაცებული სამმა ახალგაზრდა ქალმა ტყვეობას თავი შემთხვევით დააღწია. გუანტანამოს ყურეში ამერიკულ ციხეში დაპატიმრებული 166 ადამიანიდან 100 პროტესტის ნიშნად მიმშვილდნენ. რა არის ამ აქციის მიზეზი და როგორ რეაგირებს მასზე ციხის ადმინისტრაცია შარშან მსოფლიოში 82 ჟურნალისტი მოკლეს. ვამინგტონის ახალი ამბების მუზეუმში მათი ფოტოები მუდმივ გამოფენას შეემატა, რომელიც ორი ათასზე მეტი დაღუპული ჟურნალისტის ისტორიას გვაცნობს.

საქართველო მესამე წელია ახორციელებს ელექტროენერჯის ექსპორტს ოთხივე მეზობელ ქვეყანაში: აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთსა და თურქეთში. მთავრობა განსაკუთრებით, სწორედ ძვირი თურქული ბაზრის მიმართულებით აქტიურობს. ევროკავშირის სამეზობლო ფონდისა და მსხვილი ევროპული საფინანსო ორგანიზაციების მხარდაჭერით შავი ზღვის რეგიონალური გადამცემის პროექტი ხორციელდება. 500 კილოვატაიანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი ერთმანეთს დააკავშირებს ზესტაფონს-ახალციხესა და გარდაბანს. პარალელურად, ახალციხეში ახალი ქვესადგური აშენდება, რომელიც პირდაპირ დაუკავშირდება, თურქეთის ართვინის პროვინციაში მდებარე, ქალაქ ბორჩხის ქვესადგურს. ეს იქნება მეორე, ხუთჯერ უფრო მძლავრი ხაზი, თურქეთის მიმართულებით. ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდერ ხეთაგური ამბობს

„საკმაოდ მაღალი ტარიფებია თურქეთში, საბითუმო დონეზე, საქართველოზე ორჯერ უფრო მაღალი ტარიფია. ეს არის დაახლოებით, 10-11 ამერიკული ცენტი კილოვატ საათზე. შესაბამისად, ჩვენ სწორედ თურქეთის მიმართულებით ვანვითარებთ ინფრასტრუქტურას. მას შემდეგ, რაც ორივე ხაზი აშენდება, საქართველოსა და თურქეთს შორის გამტარუნარიანობა იქნება, დაახლოებით 2000 მეგავატი. თურქეთის გავლით, შესაძლებელი იქნება ელექტროენერჯის გაყიდვა სირიაში და ერაყში. პლუს, თურქეთი 2011 წლის ბოლოდღე შეუერთდება ერთიან ევროპულ სისტემას და 2012 წლის მაისიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოსა და თურქეთს შორის უკვე იარსებებს ახალი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, შესაძლებელი იქნება ელექტროენერჯის გაყიდვა ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში.“



**ვამინგტონი დღეს, 12 მაისი, 2013**

დღევანდელ გადაცემაში ნახავთ: დასრულებული მისია თუ გაუარესებული მდგომარეობა - ბალდადის დაგეგმიდან 10 წლის შემდეგ ამერიკელები მისიას დასრულებულად, ერაყელები კი მარცხად აფასებენ; რა უნდა იცოდეთ თინეიჯერებთან ურთიერთობის დროს... სმითსონის ინსტიტუტში უნიკალური ხელნაკეთი ნივთებისა და ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო.

გიგანტური ჰიდროენერგეტიკული პროექტების უმთავრესი მიწისი - უნიკალური ეკოსისტემის განადგურება და გარემოზე ზემოქმედებაა. „ხუდონჰისის“ მშენებლობა ჯერ კიდევ, 1979 წელს დაიწყო, თუმცა ათი წლის შემდეგ, ეროვნული მოძრაობის ზეწოლით, ეკოლოგიური მოსაზრებებით შეჩერდა. "ხუდონის" მშენებლობის დასრულება 400 ჰექტარის 350 მილიონი კუბამეტრი წყლით დატბორვას გამოიწვევს. დატბორვის არეალში მოყვება სოფელი ხაიში და კიდევ ექვსი მცირე სოფელი, რაც დაახლოებით, 2000-მდე ადამიანის იძულებით გასახლებას ნიშნავს. დატბორვის არეალში ასევე ხვდება კულტურული ძეგლები და სასაფლაოები. ხაიშის დატბორვის შემდეგ საჭირო გახდება ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა მესტიის მიმართულებით. არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ დირექტორი მანანა ქოჩლაძე, რომელიც ამ სფეროში რამდენიმე კვლევის ავტორია, დარწმუნებულია, რომ სვანეთის მოსახლეობა „ხუდონჰისის“ მშენებლობის წინააღმდეგ გამოვა



**ვამინგტონი დღეს, 4 მაისი, 2013**

დღევანდელ გადაცემაში იხილავთ: როგორ გამოასწორეს ამერიკაში საჰაერო დისპეჩერების რაოდენობის შემცირების პრობლემა? 2030 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის ორი მესამედი ურბანულ ტერიტორიაზე იცხოვრებს.

„ჩვენ პერმანენტულ კონტაქტში ვართ ხაიშის მოსახლეობასთან, ეს ადამიანები სასტიკი წინააღმდეგები არიან ხუდონჰისის მშენებლობის განახლების. თქვენ წარმოიდგინეთ, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ერთხელ უკვე აყარეს და გადაასახლეს. შემდეგ, ეს ადამიანები დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში და დაახლოებით, 20 წელია ისინი ცაში გამოკიდებულები ცხოვრობენ. მათ მუდმივად

ემურებიან, რომ გაასახლებენ და ეს მდგომარეობა მობეზრებული აქვთ. ხაიშელებს არანაირად არ უნდათ საქართველოს სხვა რეგიონში გადასახლება. „ხულონჰესის“ აშენების წინააღმდეგია მესტიის მოსახლეობაც, მათ, შეიძლება პირდაპირ არ ემუქრებთ, ზემოქმედება ამ კაშხლიდან, მაგრამ მათ აწუხებთ კულტურული, სოციალური და სხვა ცვლილებები, რომელსაც ეს კაშხალი მოიტანს მათ რეგიონში.“

როგორ შეიძლება ამ ადამიანების გამოკვება და მართლა შესაძლებელია თუ არა ასფალტზე მოსავლის მოყვანა? უდიპლომო სტუდენტები, რომლებმაც ინტერნეტი შეცვალეს. გუგლის დამფუძნებელი ორი ახალგაზრდა დღეს მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა სიაშია.

ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით, 2010 წლის ოქტომბრის ჩათვლით, საქართველომ მეზობელ ქვეყნებში მილიარდ 400 მილიონი კილოვატი ელექტროენერჯის ექსპორტი განახორციელა, რაც 2007 წელთან შედარებით, ორნახევარჯერ მეტია. მთავრობის სურვილია, გიგანტური ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობების ხარჯზე, ელექტროენერჯია საქართველოს მთავარ საექსპორტი პროდუქტად აქციოს. თუმცა, მთავრობას ყველა შემთხვევაში მოუწევს საზოგადოებასთან დისკუსიაში შესვლა, იმის გასარკვევად - რა უფრო მნიშვნელოვანია საქართველოსთვის - ჭარბი ელექტროენერჯია თუ ეკოლოგიური უსაფრთხოება?! და შესაძლებელია, თუ არა ოქროს შუალედის მოძებნა?!

ბეჭდვა კომენტარი გაზიარება

Tweet 0 Recommend 1 გაგზავნა 0 Pin it

ეს ფორუმი დაიხურა

კომენტარები

კომენტარები არ არის. გთხოვთ, გამოხმაურება პირველმა გააკეთოთ.

პროდუქტები	პოდკასტი	RSS	გამოიწერე	მობილური	
მთავარი	პროგრამები		დახმარება	ბმულები	გაზიარება
ახალი ამბები	ვაშინგტონი დღეს		მოგვწერეთ	რადიო თავისუფლება	<a href="#">Del.icio.us</a>
აშშ	რადიო გადაცემა		კონფიდენციალურობა	ჰიუმან რაიტს უოჩი	<a href="#">Facebook</a>
ევროპა	მსოფლიო 60 წამში		ამერიკის ხმის წესდება	გაერო	<a href="#">Google Bookmarks</a>
საქართველო	პოდკასტი		ჩვენს შესახებ	საერთაშორისო გამჭვირვალობა	<a href="#">Reddit</a>
მსოფლიო	ბლოგი				<a href="#">Twitter</a>